თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომის

ოქმი N3

ქ.თელავი 27 მარტი 2019 წ.

თავმჯდომარეობდა: ლ.ლილუაშვილი

ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები: ბესიკ ქოჩიშვილი, ზურაბ მუსაევი, ნანა ხვისტანი, ლევან კოჭლოშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, ზურაბ ლილუაშვილი, ლევან მრელაშვილი.

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი საჭიროებების განხილვა;

მოისმინეს:1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს წევრების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი საჭიროებების განხილვა;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"-ს წევრების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა საჭიროებები, (თან ერთვის) რომლებიც არის მოგვარებადი და მიზანშეწონილი იქნება აღნიშნული საკითხების უახლოეს საკრებულოს სხდომაზე განხილვა და საჭიროების შემთხვევაში თელავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გადაგზავნა შემდგომი რეაგირებისათვის;

გადაწყვიტეს: აღნიშნული საკითხი განხილულ იქნეს უახლოვეს საკრებულოს სხდომაზე.

(ოქმს თან ერთვის დანართი 6 ფურცლად)

ფრაქციის თავმჯდომარე: ლ. ლილუაშვილი

artana

ართანა

1. გარე განათება უბნებში:

ბაღის უბანი, დარჩიაანთ უბანი, ჩახუტაანთ უბანი, გაიპარაანთ უბანი, სიმაშვილი თამროს ჩიხი, ბეჟანიშვილების უბანი, კამოს უბანი, კოკლოს უბანი, გაგლიაშვილი გივის უბანი, კუკარაჩას უბანი, ყურაშვილების ჩასასვლელი, წველებაშვილების შესასვლელი, ტიკიშვილი ვახოს უბანი, ქურდნიკოს ჩიხი, წიპწანას მხარე, დიდხევის უბანი, სიმაშვილი ანდროს უბანი, რაიკომაანთ უბანი, ქურციკიძეების უბანი, მოთრეულების უბანი.

2. ბარდნარის გასუფთავება - ბეჟანიშვილი ქეთოს უბანი და არჩილ აზარიაშვილის უბანი;
3. ნაგვის ურნების დამატება;
4. გაიპარაანთ უბანში, ჯიბუტი ვანოს ეზოში საუბნო არხის 100 მეტრიანი მონაკვეთის გასუფთავება და გაფართოება
5. ცენტრალური სანიაღვრე არხების გასუფთავება;
6. სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის დაყენება საბავშვო ბაღთან (2 ცალი) და ქვემოთ ჯვარედინზე მოსაცდელთან;
7. ამბულატორიის შენობის პრობლემა (ოთახი არსებობს ბაღის შენობაში, რომელიც მე-2 სართულზეა და პენსიონერებს უჭირთ ასვლა);
8. სოფლის ცენტრში მაღალი ხმელი ხეების ტოტების მოჭრა;
9. ბაღის ეზოში ბავშვების სათამაშოდ ლამის მოწყობა;
10. ბაღის ეზოში სასმელი დაბურღული წყლის მიყვანა;
11. ბაღის გალავნის შესაღებად საღებავების შეძენა და შეღებვა;
12. პატიშვილი ილოს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა.

# გულგულა

1. სოციალური პრობლემები
2. საბანკო სისტემა (კრედიტებზე მაღალი პროცენტები)
3. მედიკამენტებზე მაღალი ფასები
4. წყლის რეაბილიტაციის პრობლემა (დასასრულებელია)
5. წყლის მიწოდების გრაფიკის მოწესრიგება
6. მიწების რეგისტრაციის პრობლემა
7. სარწყავი სისტემის მოწესრიგება (ურდულები)
8. ცენტრალური გზის ორმოული შეკეთება
9. სანიაღვრე არხების გაწმენდა, აღდგენა, შეკეთება
10. გარე განათების სადენების შეცვლა
11. ამორტიზირებული ბოძების შეცვლა „ენერგოპროს" მიერ.
12. ტექ. დათვალიერების ხარვეზები (კატალიზატორი)
13. შიდა საუბნო გზების კეთილმოწყობა
14. ელექტროენერგიის დიდი გადასახადი (დენის მრიცხველები ბევრს წერს)
15. ხის მოჭრა საბავშვო ბაღთან
16. საბავშვო ბაღის დამხმარე  სათავსო  ფართში (2 ოთახი) იატაკის მოწყობა
17. ბაღის ეზოდან ძველი საპირფარეშოს ნარჩენების გატანა (ექსკავატორია საჭირო)
18. სოფ. ვარდისუბნის წრესთან მანქანების სიმრავლის გამო მხედველობის არეა დაფარული.

ვარდისუბანი

1. თურდოსპირელის ქუჩა - შიდა საუბნო გზის მოხრეშვა, გარე განათების და სანიაღვრე არხების მოწყობა.

2. დეკანოზურის ქუჩა - მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა

3. ჯაშიაანთ უბანში გასაკეთებელია სანიაღვრე არხი

4. კობიაანთ უბანში სიჩქარის შემზღუდველი 2 (ორი) ბარიერის დაყენება

5. სოზაანთ უბანში გარე განათების გაკეთება

6. მაია ტაბახმელაშვილის სახლთან გზის გასწორება (გრეიდერის გატარება)

7. მარგალიტაშვილი ოთარი ნიკას ძეს ესაჭიროება დახმარება 150 ლარით (არის მეორე ჯგუფის ინვალიდი და მის შვილს ხათუნა მარგალიტაშვილს განცხადება აქვს შემოტანილი)

თეთრიწყლები

1. სოფლის გაზიფიცირება
2. სასმელი წყლის სათავე - ნაგებობების გაწმენდა
3. შიდა საუბნო გზები
4. სასაფლაოს ტერიტორიის შემოღობვა
5. სკოლის ეზოს შემოღობვა
6. სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეო თვალის დაყენება
7. ხილის ჩაბარების პრობლემა
8. სოფელს ესაჭიროება ჩასარიცხი აპარატი
9. გარე განათება სოფ. კოზაძისა და სოფ. სეროდანის გადასახვევში
10. ელექტრსადენების მოწესრიგება ცენტრალურ გზაზე
11. სოც. დახმარების მოხსნასთან დაკავშირებული პრობლემები
12. დასაქმების პრობლემა (ინვენსტორების მოძიება საწარმოების გასახსნელად)

სანიორე

1. 2კმ-იანი სანიაღვრე არხია გასაკეთებელი, რომელიც უნდა შეუერთდეს მდ. ჭიჭაკვს, რადგან სოფ. ჯუღაანის სასმელი წყალი მიდის სანიორეს მინდვრებში და ზიანდება მოსახლეობის ნარგავები.

2. სარწყავი სისტემის მოწყობა.

3. სანიაღვრე არხის 700 მეტრიანი მონაკვეთის გაწმენდა (ქარხნის გზაზე).

4. მინი სტადიონის მოწყობა.

5. ყურძენზე მომუშავე მანქანების ტექ. დათვალიერების პრობლემა

6. საბავშვო ბაღის ეზოს გაწმენდა-გასუფთავება და ქვეწარმავლებზე შეწამვლა ან სათანადო ზომების მიღება (იანვარშიც დაფიქსირდა).

ჯუღაანი

1. სასმელი წყლის სათავიდან სოფლამდე 3კმ-იანი მაგისტრალის შეცვლა (რის გამოც სასმელი წყალი იმღვრევა).

2. სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის დაყენება.

3. სასაფლაოს გზის გაწმენდა.

4. სოფლის შესასვლელში სკვერის მიმდებარე ტერიტორიის ბარდისგან გაწმენდა-გასუფთავება.

5. სკოლაში საპირფარეშოს სველი წერტილის მოწყობა.

6. სკოლის ტრანსპორტის დანიშვნა

7. მაღალი ძაბვის ბოძების დემონტაჟი საცხოვრებელ სახლებთან.

8. გარე განათების ხარისხიანი ნათურების დაყენება.

9. სოფლის სკვერში განათების მონტაჟი.

10. სანიაღვრეების მოწყობა.